ა ნ გ ა რ ი შ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ბ ა თ უ მ ი

2017 წელი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

დღეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო დიდი გამოწვევების წინაშე დგას. მოკლევადიან პერსპექტივაში დაგეგმილია ისეთი ძირეული პრობლემების მოწესრიგება, როგორიცაა ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქციის შეუფერხებელი რეალიზაცია, კოოპერაციის განვითარება, ფერმერთა კონკურენტუნარიანობის ზრდა, მუნიციპალიტეტების დონეზე ახალი სასოფლო-სამეურნეო ფუნქციების დანერგვა, არსებული მიმართულებების განვითარება და სხვა. ძირითადი აქცენტი ფერმერების კეთილდღეობის ზრდაზეა გაკეთებული, ხოლო ამის მიღწევა მათი მეურნეობების შემოსავლების ზრდითაა გათვალისწინებული.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ინფორმაციას სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი დაწესებულებების მიერ 2017წ განხორციელებული საქმიანობის შესახებ, რომელიც თანხვედრაშია აჭარის 2017-2020 წლების სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიასთან.

1. აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემა

სამინისტროს სისტემა მოიცავს სამინისტროს ცენტრალურ აპარატს, ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრს, ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრს და სსიპ ლაბორატორიულ კვლევით ცენტრს.



2. აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურა

- საანგარიშო პერიოდში ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით განხორციელებული რეორგანიზაციის ფარგლებში, სამინისტროს განახლებულმა სტრუქტურამ მნიშვნელოვნად გაზარდა სამინისტროს შესაძლებლობები ისეთი ახალი ერთეულების შექმნითა და არსებულის გაჯანსაღებით როგორიცაა: აგრარული განვითარების დეპარტამენტი, სოფლის განვითარების დეპარტამენტი, პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტი, აგრარული პროექტების მართვისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახური.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა 68 საშტატო ერთეულიდან შემცირდა 53 საშტატო ერთეულამდე.
- ახალმა ორგანიზაციულმა მოწყობამ გააძლიერა სამინისტროს ძირითადი ფუნქციების განმახორციელებელი ბირთვი, ხოლო დამატებით მობილიზებული საკადრო რესურსი არსებულ, გამოცდილ კადრებთან ერთად გახდა ის ადამიანური

რესურსი, რომლის მეშვეობითაც სამინისტრო 2017 წელს შეუდგა აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიით გამოცხადებული პოლიტიკის შესრულებას.

აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურა
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



3. სამინისტროს 2017 წლის ბიუჯეტის შესრულება

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ თანახმად სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2017 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი განისაზღვრა **12 029 128** ლარით, ხოლო დაზუსტებული 12 277 644 ლარით. საკასო ხარჯმა შეადგინა 11 127 606 ლარი.
- სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბიუჯეტი - 1 778 865 ლარი;
- ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრის ბიუჯეტი - 7 037 587 ლარი;
- ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ბიუჯეტი - 3 082 492 ლარი;
- სსიპ ლაბორატორიული კვლევის ცენტრი - 378 700 ლარი

სამინისტროს 2017 წლის ბიუჯეტი



ინფორმაცია სამინისტროს 2017 წელს შესრულებული ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილია დანართში №1.

4. სამინისტროს მიერ განხორციელებული ქვეპროგრამები

საანგარიშო პერიოდში სამინისტროს მიერ განხორციელებული იქნა შემდეგი ქვეპროგრამები:

- **ქვეპროგრამა - „აგრარული ექსტენციის მიწოდება“, ბიუჯეტი -4200 ლარი**
  - **ქვეპროგრამის მიზანი:** სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი ფერმერებისა და აგრომეწარმეების საქმიანობის ეფექტურობისა და მდგრადობის ამაღლება;
  - **ქვეპროგრამის შედეგი:** ექსტენციის მომსახურების პირობებში 27 თევზსაშენი მეურნეობის ეფექტური მართვა აღნიშნული დარგის სხვადასხვა მიმართულებით

  - **თევზსაშენ მეურნეობებში თევზის წარმოების ექსტენციის** მომსახურეობა გაეწია რეგიონის 27 თევზსაშენ მეურნეობაში დასაქმებულ 80-მდე პირს, შემდეგი თემატური მიმართულებით: სამრეწველო კალმახის გამოზრდა, ინკუბატორის მომზადება, განაყოფიერებული ქვირითის ინკუბირება, ლიფსიტების გამოზრდა და სხვა, რაც ადგილობრივ მეთევზე ფერმერებს დაეხმარა სამეურნეო საქმიანობის წარმატებით განხორციელების საქმეში.

- **ქვეპროგრამა -„ აგროსექტორის განვითარების საჭიროებათა კვლევები და სტრატეგია“, ბიუჯეტი - 174 865 ლარი.**
  - **ქვეპროგრამის მიზანი:** სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად აგროსექტორში საჭიროებათა კვლევების საფუძველზე განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვა;
  - **ქვეპროგრამის შედეგი:** აგრარული დარგის მიმართულებით ჩატარებული კვლევები და შემუშავებული რეკომენდაციები; რეგიონში თევზსაშენი მეურნეობების განვითარების მიმართულებით შემუშავებული სტრატეგია;

  - ქვეპროგრამის ფარგლებში **„მანდარინის წარმოებასა და ექსპორტთან დაკავშირებული ლოჯისტიკური და სხვა სახის ინფორმაციის კვლევისა და შესაბამისი რეკომენდაციების“** ფარგლებში შემუშავდა მსოფლიოში მანდარინის წარმოების, მიზნობრივ ქვეყნებში მისი ექსპორტ/იმპორტის, ტრანსპორტირების, საბაზრო ღირებულებებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები მეციტრუსეობის სფეროთი დაინტერესებულ პირთათვის (ფერმერი, ექსპორტიორი, კერძო თუ საჯარო სტრუქტურის მოხელე) წარმოადგენს დამხმარე ლიტერატურას მანდარინის, როგორც მისი სამრეწველო წარმოებასთან დაკავშირებული

საკითხების, ასევე ექსპორტზე რეალიზაციის მიმართულებით უახლესი ინფორმაციის მოძიების თვალსაზრისით;

- ქვეპროგრამის ფარგლებში **„აჭარის ტერიტორიაზე არსებული სარწყავი სისტემების აღდგენა და სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაციის ეკონომიკური ეფექტის შესწავლის“** ფარგლებში შემუშავებული იქნა საინფორმაციო მასალა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სარწყავი სისტემების რეალური მდგომარეობის, ჩასატარებელი საპროექტო ღონისძიებებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების სავარაუდო ღირებულების მიმართულებით.



- ქვეპროგრამის ფარგლებში **„მეოცე საუკუნეში აჭარის რეგიონში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პოტენციალის კვლევის“** ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია გასულ საუკუნეში რეგიონში ინტენსიურად წარმოებული (ჩაი, თამბაქო, ტუნგი, დაფნა, ბამბუკი, აბრეშუმის პარკი, სამკურნალო მცენარეები) კულტურების პოტენციალის, დავიწყებული პროდუქტების რებრედინგისა და კვლავწარმოების პერსპექტივების შესახებ. ასევე შესწავლილი იქნა ინვესტირების გეგმა შესაბამისი დასკვნებითა და რეკომენდაციებით, რომელიც დაინტერესებულ პირებს დაეხმარება რეგიონის საინვესტიციო პოტენციალისა და ალტერნატიული კულტურების წარმოების მიმართულებით მიიღოს შესაბამისი ცოდნა.

- ქვეპროგრამის **„აჭარაში რძის შემკრები პუნქტებისა და მათი ეკონომიკური ეფექტიანობის შესწავლის“** ფარგლებში მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია რეგიონში მეცხოველეობის სპეციფიურობის, რძის გადამუშავების თავისებურებების, რძის შემკრები პუნქტების აუცილებლობისა თუ სხვა აქტუალური საკითხების მიმართულებით. რძის შემკრები პუნქტების ეკონომიკური ეფექტის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციები მეცხოველეობით დაინტერესებულ პირთათვის წარმოადგენს მნიშვნელოვან ინფორმაციას

აღნიშნულ დარგში უკვე არსებული ან მიმდინარე წარმოების გაფართოების, პერსპექტივების დასახვისა და ინვესტირების მიმართულებით.

- ქვეპროგრამის ფარგლებში **„აჭარის რეგიონში თევზსაშენი მეურნეობების განვითარების სტრატეგიის“** შემუშავების ფარგლებში მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი მოიცავს რეგიონის თევზსაშენ მეურნეობებში არსებული მდგომარეობის ანალიზს, თევზის წარმოება-რეალიზაციის ღირებულებათა ჯაჭვს, თევზსაშენ მეურნეობებში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობას, რეგიონში მეთევზეობის განვითარების SWOT ანლიზს და შესაბამის დასკვნებსა და რეკომენდაციებს. აღნიშნული სტარეგია რეგიონის აკვაკულტურის დარგში დასაქმებულ პირებს დაეხმარება თევზსაშენი მეურნეობების მართებულად დაგეგმვის, არსებული პრობლემატური საკითხების აღმოფხვრისა და თევზის წარმოების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაში.

5. 2017-2018 წწ ციტრუსის სეზონის საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფა

5.1 ადგილობრივი ციტრუსის პოპულარიზაცია არსებულ და ახალ საექსპორტო ბაზრებზე:

- სამინისტრო ჯერ კიდევ 2017 წლის მარტის თვიდან შეუდგა ციტრუსის სეზონის მზადებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფას, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა სამინისტროს შემადგენლობით დაკომპლექტებული ორ-ორ კაციანი ჯგუფების მივლინება ციტრუსის სტანდარტულ და ახალ ბაზრებზე;
- მივლინების მიზანს წარმოადგენდა ციტრუსის ექსპორტის ხელშეწყობა, ახალი სარეალიზაციო ბაზრების ათვისება და აღნიშნული მიმართულებით უცხო ქვეყნის ბიზნეს წრეებთან საქმიანი შეხვედრების გამართვა, დაინტერესებულ მხარეებზე შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და ციტრუსის მეორე საერთაშორისო ფორუმზე მოწვევა;
- საქართველოს საელჩოების დახმარებით განხორციელდა საქმიანი შეხვედრები მეციტრუსეობის დარგით დაინტერესებულ პირებთან, სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებთან, მსხვილ იმპორტიორებთან და ჰიპერმარკეტის ქსელის ხელმძღვანელებთან. განხორციელებული ვიზიტების ფარგლებში გამოიკვეთა ორმხრივი თანამშრომლობისა და ადგილობრივი ციტრუსისადმი, როგოც კონკურენტუნარიანი პროდუქციისადმი რეალური ინტერესი.

კ ე რ ძ ო დ:

- მინისტრის მოადგილე რუსლან ქორიძე და პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის საინვესტიციო და დონორებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი უჩა სურმანიძე ადგილობრივი ციტრუსის პოპულარიზაციის მიზნით იმყოფებოდნენ შუა აზიის შემდეგ ქვეყნებში: ტაჯიკეთში, უზბეკეთში, ყირგიზეთში და ყაზახეთში;
- მინისტრის მოადგილე ავთანდილ მესხიძე, საინვესტიციო და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების მთვარი სპეციალისტი ნარგიზ ბეჟანიძე იმყოფებოდნენ ბელორუსიის რესპუბლიკაში, ქ. მინსკში, სადაც საქართველოს საელჩოს დახმარებითა და თანადგომით განხორციელდა საქმიანი შეხვედრები სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელებთან და ციტრუსის იმპორტით დაინტერესებულ მსხვილ კომპანიებთან;
- მინისტრის მოადგილე რუსლან ქორიძე, საინვესტიციო და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი უჩა სურმანიძე იმყოფებოდა ყაზახეთის რესპუბლიკაში, ქ.ასტანაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოწვევით ქ. ასტანაში მიმდინარე საერთაშორისო გამოფენა „Expo 2017“-ში. გამოფენის მონაწილეებს

მიეწოდათ რეგიონის სტრატეგიული, აგრარული პროდუქტების შესახებ მომზადებული საპრომოუშენო ვიდეო და ბეჭდვითი მასალა. დაინტერესებულ პირთათვის წარმოდგენილი იქნა ასევე პრეზენტაცია ქართული ციტრუსისა და მისი საექსპორტო პოტენციალის შესახებ.

- პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსი ირმა აფხაზავა და საინვესტიციო და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნარგიზ ბეჟანიძე იმყოფებოდნენ ლატვიასა და ლიტვაში, სადაც განხორციელდა საქმიანი შეხვედრები მსხვილი სავაჭრო ქსელების ხელმძღვანელებთან და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან ქართული მანდარინის საექსპორტო პოტენციალისა და უპირატესობების გაცნობის მიმართულებით. ჯგუფმა ასევე მონაწილეობა მიიღო ქალაქ რიგაში გამართულ აგროსასურსათო გამოფენაზე ,,RIGA FOOD 2017“, სადაც ქართული მანდარინით დაინტერესებულ მხარეებს გადაეცათ საინფორმაციო ბუკლეტები.



5.2 ციტრუსის მე-2 საერთაშორისო ფორუმის ორგანიზება

- სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, მიმდანარე წლის 28-30 სექტემბერს ქ.ბათუმში წარმატებით ჩატარდა რიგით მეორე საერთაშორისო ბიზნეს ფორუმი ,,ციტრუსის ექსპორტი 2017“, რომლის ძირითადი მიზანი იყო ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაციისა და ახალი ბაზრების დივერსიფიცირების გზით ქართული მანდარინის საექსპორტო პოტენციალის გაზრდა, დაინტერესებულ მხარეთათვის რეგიონის მეციტრუსეობის პოტენციალის გაცნობა და სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის დასახვა;
- ზემოაღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 9 ქვეყნის, კერძოდ: ბელორუსიის, უკრაინის, პოლონეთის, ლიტვის, რუსეთის, სომხეთის, ყაზახეთის, უზბეკეთისა და ტაჯიკეთის 30-მდე კომპანიამ, სამრეწველო პალატებმა და მასმედიის წარმომადგენლებმა.
- ფორუმი ითვალისწინებდა B2B შეხვედრებს, რომლებიც გაიმართა კითხვა პასუხის რეჟიმში. ადგილობრივი ციტრუსის დამამზადებლებსა და ექსპორტიორებს მიეცათ საშუალება მიეღოთ პასუხები მათთვის საჭირო საკითხებზე და დაემყარებინათ უშუალო ურთიერთობები კონკრეტული ქვეყნის ბიზნეს წრეების წარმომადგენლებთან;
- პროგრამა ითვალისწინებდა ასევე საინფორმაციო ტურის ორგანიზებას, რომლის ფარგლებშიც მ/წლის 29 სექტემბერს სტუმრებმა მოინახულეს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ჩაქვის ციტრუსის სანერგე სადემონსტრაციო ნაკვეთი, სადაც მონაწილოება მიიიღეს საადრეო მანდარინის კრეფაში;
- ტურის ფარგლებში უცხოელმა სტუმრებმა ასევე მოინახულეს ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც დაკომპლექტებულია უახლესი ტექნოლოგიური ხაზებითა და დანადგარებით. საწარმოების პროფილი გარდა დახარისხებისა, ითვალისწინებს არასტანდარტული ციტრუსის გადამუშავებას,

რომლის ირგვლივ დეტალური საუბარი (კონცენტრატის დამზადება, ხარისხი, რეალიზაცია) გამართეს შესაბამისმა ხელმძღვანელებმა.

- ფორუმის მსვლელობის პროცესში უცხო ქვეყნების მასმედიის წარმომადგენლებმა მოამზადეს შესაბამისი რეპორტაჟები, რომლებიც პირდაპირი ეთერის საშუალებით გააშუქეს ბელორუსიისა და ყაზახეთის სატელევიზიო არხებმა.

5.3. ციტრუსის რეალიზაცია

- სწორედ ზემოაღნიშნული ღონისძიებების ოპერატიულად და მიზანმიმართულად დაგეგმვის შედეგი გახდა მიმდინარე წლის ციტრუსის სეზონის წარმატებით განხორციელება;
- მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა სამინისტროს მხრიდან აქტიური კომუნიკაცია შემფუთავ-დამახარისხებელ საწარმოებთან (30-მდე), სადაზღვევო კომპანიებთან, გაფორმების ეკონომიკური ზონის (გეზ) წარმომადგენლობასთან, სახმელეთო, საზღვაო და სარკინიგზო სატრანსპორტო კომპანიებთან, ციტრუსის ტარა-მასალის დამამზადებლებთან, სასაწყობე მეურნეობების წარმომადგენლობებთან, შესაბამისი მუნიციპალიტეტებისა და სოფლის რწმუნებულებთან, მეციტრუსე ფერმერებთან, ექსპორტიორებთან;
- ნოემბრის თვეში შეიქმნა ,,არასტანდარტული მანდარინის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი ჯგუფი“ ე.წ.ციტრუსის შტაბი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა, როგორც სამინისტროს, ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. შტაბის ძირითადი მიზანი იყო მანდარინის მოსავლის (სტანდარტული/არასტანდარტული) რეალიზაციის შეუფერხებლად მიმდინარეობა, აღნიშნულ პროცესებში ჩართულ პირთა კოორდინაცია და მონიტორინგი;
- შტაბის ბაზაზე ფუნქციონირებდა ცხელი ხაზი, რომელზეც 24 საათიან რეჟიმში დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ შესაბამისი ინფორმაციის მიღება;

- ციტრუსის 2017-2018 წლის სეზონზე პროგნოზირებული იყო 55 ათასი ტონა ციტრუსის წარმოება, საანგარიშო პერიოდში რეალიზებული იქნა 23 569 ტ სტანდარტული ციტრუსის ნაყოფი;
- საანგარიშო პერიოდში შპს ,,Georgian industrial Asset Management Group''-სა და შპს ,,TCF GEORGIA''-ს მიერ გადამუშავებული იქნა 8320,3 ტონამდე არასტანდარტული ციტრუსის ნაყოფი, საიდანაც დამზადებული მანდარინის კონცენტრირებული წვენი ექსპორტირებული იქნება იაპონიის, ისრაელის, ჰოლანდიისა და რუსეთის ბაზრებზე;
- აჭარის მთავრობის ხელშეწყობით, რეგიონის ციტრუსის გადამამუშავებელ კომპანიებზე, რომლებმაც 1 კგ სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილი მანდარინი არანაკლებ 0.20 ლარად შეისყიდა, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 1 კგ მანდარინზე 0.10 ლარის ოდენობის სახელმწიფო სუბსიდია გასცა;
- ციტრუსის ექსპორტი განხორციელდა შემდეგ ქვეყნებში: რუსეთი - 15352ტ, სომხეთი - 2 442ტ, აზერბაიჯანი - 44ტ, უკრაინა - 5132ტ, ყაზახეთი - 153ტ, უზბეკეთი - 241 ტ, ბელორუსი - 172ტ, პოლონეთი - 30ტ, ლიტვა - 3 ტ, ყატარი - 1 ტ.

მანდარინის ექსპორტზე რეალიზაციის მაჩვენებლები



6. საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

- სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, რომლის ფორმატშიც არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა, რომელიც მიზანმიმართული იყო რეგიონის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. კერძოდ:

დონორი: ევროკავშირი

პროექტი: *,,მდგრადი სოფლის მეურნეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში" - განმახორციელებელი გაეროს განვითარების პროგრამა*

- პროექტის მიზნებია: სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ცენტრების მომსახურების გაფართოება და ხარისხის გაუმჯობესება; ფერმერებისა და კოოპერატივების პროდუქტიულობა და კომერციული ეფექტურობა; აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაძლიერება, სოფლის მეურნეობის სტრატეგიისა და შესაბამისი პროგრამების შესასრულებლად.

პროექტი: *„სოფლის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში ENPARD II"* - განმახორციელებელი გაეროს განვითარების პროგრამა

- პროექტის მიზანია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მომზადება და მიღება. აჭარის სახელმწიფო უწყებების გაძლიერება, სოფლის განვითარების პოლიტიკის გასატარებლად.

პროექტი: *„ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის"*. განმახორციელებელი CENN

- პროექტი მიზნად ისახავს: ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაციას, ქედის მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვასა და კონკურენტული, სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობას სოფლის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის გზით.

პროექტი: *„სოფლის განვითარებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტში" -განმახორციელებელი Caritas Georgia*

- პროექტი ითვალისწინებს ხულოს მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და დასაქმების ზრდას, სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციის გზით.

დონორი : სლოვაკეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო

პროექტი: *"საქართველოს მიუვალ მთიან მხარეში აგრო განვითარების ხელშეწყობა, მესაქონლეობის პროდუქტიულობისა და წარმოების ზრდით"*

- პროექტის ფარგლებში ადგილობრივმა ვეტერინარებმა-ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტებმა გადამზადების კურსი გაიარა სლოვაკეთის შესაბამის ვეტ-ცენტრებში და მიენიჭათ ინსემინაციის ექსპერტის წოდება. ასევე,

პროექტის მონაწილეებს საჩუქრად გადაეცათ გენეტიკური მასალა და ხელსაწყოები, შემდგომი საქმიანობისთვის.

დონორი: ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო

MASHAV - პროგრამა ითვალისწინებს ისრაელში, შესაბამის სახელმწიფო/კერძო ორგანიზაციებში ტრენინგებს- თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაზიარებას, აგრო სექტორის სპეციალისტებისთვის.

დონორი: ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტრო

პროექტი: *„რეგიონალური განვითარება საქართველოში, აგრო სექტორის განვითარება მცირე ბიზნესის მხარდაჭერით“- განმახორციელებელი პროგრამა LEADER*

- პროექტის ფარგლებში, მეფუტკრე და მესაქონლე ფერმერებს 20% თანადაფინანსებით გადაეცათ წვრილი ტექნიკა, ასევე ჩაუტარდათ ტრენინგები საველე პირობებში. მ/წ ოქტომბერში პროექტის მონაწილე ფერმერები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ლიტვაში, ლიტვის აგრო გამოცდილების გასაზიარებლად.

დონორი: ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო

პროექტი: *„მეხილეობისა და ვაზის სანერგე კოოპერატივების დახმარება ხულოს მუნიციპალიტეტში, ზემო აჭარაში“*

- პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: 1)მეხილეობის მიმართულების კოოპერატივებისთვის ერთი ელექტრო და ორი ჰელიო საშრობის, ასევე ერთი ვაკუუმის შესაფუთი აპარატის შეძენა; 2) პროექტში ჩართული დიოკნისისა და დიდაჭარის კოოპერატივების 4 წარმომადგენლის პრაქტიკული ტრენინგები ხილის საშრობ საწარმოში Bio Margi (ბაღდათი) და სომხეთში; 3) კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციისთვის ეტიკეტების მომზადება; 4) ჯიღაურას სანერგე მეურნეობიდან ექსპერტის მოწვევა და ტრენინგები ვაზის ნერგის წარმოებაზე; 5)მოწვეული ექსპერტის კვლევა 3 ადგილობრივ ვაზის ჯიშზე, რომელიც არ არის შეტანილი ქართული ვაზის კოლექციაში; 6) ექსკურსია სხვა კოოპერატივების წევრებისთვის, პროექტის შედეგების გასაზიარებლად.

დონორი: IFAD (სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი) და GEF (გლობალური გარემოს დაცვის ფონდი)

პროექტი: : *„სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტი“ (AMMAR)*

- პროგრამა მოიცავს პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობას, მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების გაფართოებასა და მოდერნიზაციას, საერთაშორისო სტანდარტების და ტექნოლოგიების დანერგვას. ასევე,კომპონენტებს როგორც

ინდივიდუალური ფერმერების, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების თანადაფინანსებას.

დონორი: USAID

პროექტი: *REAP* (სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი)

- USAID მიერ 19.5 მლნ დოლარით დაფინანსებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის 5-წლიანი პროექტის (REAP) მიზანია, საწარმოების განვითარება აგრობიზნესში ინვესტირებისა და მათ მოთხოვნებზე მორგებული კონსულტაციების გაწევის გზით, სოფლად შემოსავლებისა და დასაქმების ზრდა. REAP მუშაობს სოფლის მეურნეობის სექტორში კერძო ინვესტიციებისა და კომერციული დაფინანსების გაზრდის, აგრობიზნესის რისკების შემცირების, ფერმერთა სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური უნარების გაძლიერებისა და სერვისების მიწოდების, მწარმოებელ და გადამამუშავებელ საწარმოებს შორის მდგრადი კომერციული კავშირების გაფართოების მიმართულებით.

პროეტი: *"საქართველოს სასოფლო- სამეურნეო პოლიტიკის ინიციატივა" (GAPI)*

- საპილოტე პროექტი მოიცავდა აჭარაში, ციტრუსის პროგნოზირების მეთოდების შესწავლას.

დონორი: *USDA* (აშშ აგრო დეპარტამენტი)

პროექტი: „ ა(ა)იპ აჭარის ვეტერინართა რეგიონალური ასოციაცია"

- რომელიც ითვალისწინებს აჭარაში, კერძო ვეტერინარიის განვითარებას. დღეის მონაცემებით ორგანიზაციაში გაერთიანებულია 58 ადგილობრივი ვეტერინარი.

დონორი: შვეიცარიის თანამშომლობისა და განვითარების ოფისი სამხრეთ კავკასიაში

პროექტი:" *მცირე კავკასიის ალიანსების დასავლეთ საქართველოს პროგრამა"- განმახორციელებელი MercyCorps Georgia*

- პროექტი ითვალისწინებს ურთიერთთანამშრომლობას მცირე კავკასიის ქვეყნებს შორის (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) იმ საერთო ინტერესებზე დაყრდნობით, როგორიცაა ვაჭრობა და სასოფლო-სამეურნეო სერვისებისა და პროდუქტების არეალის გაფართოება, მეზობელ სახელმწიფოებში.

დონორი: ავსტრიის განვითარების ფონდი

პროექტი: " ცხოველთა ჯანმრთელობის მართვა საქართველოში- პროექტის ფაზა -2"

- პროექტი ითვალისწინებდა ვეტ სპეციალისტთა გადამზადებას (თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები), ვეტ კლინიკების გახსნასა და შესაბამისი

ხელსაწყოებით აღჭურვას. ასევე, სადემონსტრაციო პროექტების განხორციელებას ფერმერებთან ერთად.

დონორი: ნიდერლანდების სამეფო

პროექტი: PUM (ჰოლანდიელი უფროსი ექსპერტები)

- პროექტი მოიცავდა ჰოლანდიელი ექსპერტების მიერ უფასო კონსულტაციების გაწევას, ქართული მცირე და საშუალო აგრო საწარმოებისთვის.

7. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებები

- *აგრარული განვითარების დეპარტამენტში* შესწავლილი იქნა მონაცემები ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას მიმდებარე ტერიტორიაზე გადმოცემული მიწის ნაკვეთებზე (საკ. კოდი: 20.36.01.161 და 20.36.01.008). არსებული მიკროკლიმატური პარამეტრების შესახებ. კერძოდ მოკვლეული იქნა დეტალური ინფორმაცია: სითბოს, განათებული დღეების რაოდენობის, წვიმიანი დღეების რაოდენობის, გაბატონებული ქარების და მოსალოდნელი ატმოსფერული ნალექების შესახებ. აღნიშნული მონაცემები დამუშავდა და წარმოდგენილი იქნა სახელმძღვანელოს სახით, სადაც ა(ა) აგროპროექტების მართვის ცენტრის 2017 წლის ქვეპროგრამის „სასათბურე მურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში დაიწყო 50 ერთეული 500 კვ.მ-იანი სასათბურე მეურნეობის აგროპარკების მოწყობა;

- შესწავლილი იქნა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სულ 100 ჰა, 4 კონტურის ფარგლებში. აღნიშნული ფართობებიდან ერთ-ერთზე (20 ჰა) ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრის მიერ გაშენდება ჩაის კულტურა.

- დამუშავებული იქნა ინფორმაცია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 14 ათასი ჰა მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდების მიხედვით) შესახებ;

- მომზადებული იქნა შემდეგი სახელმძღვანელოები: „მეცხოველეობის დარგის მიმდინარე მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი და შეფასება“, „მეფუტკრეობის დარგის მიმდინარე მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი და შეფასება“, „მეფრინველეობის დარგის მიმდინარე მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი და შეფასება“;

- განხორციელდა აზიური ფაროსანას გავრცელების ინტენსივობისა და არეალის დადგენის მიზნით ქ. ბათუმის, ხელვაჩაურის, ქობულეთის მუნიციპალიტეტების სოფლების თხილისა და ციტრუსის ფართობებში დამონტაჟებულ 480-მდე ფერომონული დამჭერის მონიტორინგის შედეგების ანალიზი, რის შედეგადაც მომზადდა ჩასატარებელი წამლობითი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;

- გაიმართა არაერთი საინტერესო შეხვედრა რეგიონის დაბალი ზონის მოსახლეობასთან (დაახლოებით 90-მდე სოფელში) აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ;

- ქვეპროგრამის „აგრარული ექსტენციის მიწოდება“ ფარგლებში დამუშავებული იქნა ბენეფიციართა სიები, რომელშიც ასახულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებული ფართობები (კარტოფილი, ციტრუსი, ვაზი და სხვა ერთწლიანი/მრავალწლიანი კულტურები). საანგარიშო პერიოდში მონაცემთა ბაზაში შეყვანილი იქნა 8000 ფერმერის მონაცემები (3103 ჰა);

- აგრარული განვითარების დეპარტამენტმა სოფლის მეურნეობის განვითარების 2017 -2020 წლების სტარატეგიაზე დაყრდნობით შეიმუშავა მემცენარეობის, თევზსაშენი მეურნეობის, მეცხოველეობის, მეფუტკრეობის და მეფრინველეობის პრაქტიკული ექსტენციის სახელმძღვანელოები, რომლის საშუალებითაც მომზადდა ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის 2018 წლის ქვეპროგრამა „აგრარული ექსტენციის და პრაქტიკული სერვისების მიწოდება";
- ***სოფლის განვითარების დეპარტამენტი*** აქტიურად იყო ჩართული სოფლის განვითარების საბჭოს საქმიანობაში, კერძოდ სოფლის განვითარების საბჭოს სამუშაო ჯგუფმა შეადგინა და დასამტკიცებლად წარუდგინა საბჭოს სოფლის განვითარების 2018-2020 წლების დეტალური სამოქმედო გეგმა.

- **სოფლის განვითარების დეპარტამენტის აგრო ბიზნესის განყოფილებამ** განაახლა საინფორმაციო ბაზები, სტატისტიკა და დარგობრივი კლასიფიკაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და აჭარის რეგიონში ოპერირებადი აგრომეწარმეების შესახებ;

- რეგიონის 50 კოოპერატივთან ორგანიზებული იქნა შეხვედრები, რომელზეც განხილული იქნა კოოპერატივის განვითარების, საჭიროებებისა და სამომავლო გეგმების შესახებ საკითხები, შეხვედრების შედეგად მომზადდა კვლევა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების საჭიროებების შესახებ;

სოფლის განვითარების დეპარტამენტის აგრო ბიზნესის განვითარების განყოფილება აქტიურად უწევდა ორგანიზებას სხვადასხვა ღონისძიებებს, კერძოდ:

- კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის გაცნობის მიზნით შეხვდა ხულოს მუნიციპალიტეტში მეცხოველე ფერმერებს. შეხვედრას ესწრებოდა 30-ზე მეტი ადგილობრივი ფერმერი და კოოპერატივის წევრი;

- საქართველოსა და აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან თანამშრომლობით რეგიონის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში: ,,ევროპასთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) განხორციელების ჭრილში კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერება";

- ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ ინიცირებული პროგრამის ,,ყვავილების მოყვანისა და ვაჭრობის თანამედროვე ჰოლანდიური ტექნოლოგიები“ ღონისძიბაში 15 ადგილობრივი კოოპერატივის ჩართულობა;

- სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ ქალაქ თბილისში ორგანიზებულ ტრენინგში - ,,სასათბურე ბოსტნეულის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები“ დეპარტამენტის მხარდაჭერით განხორციელდა რეგიონის 2 კოოპერატივის წევრთა მონაწილეობის მიღება;

სოფლის განვითარების დეპარტამენტის მუნიციპალური განვითარების განყოფილების უშუალო ჩართულობით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა 46 აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანება - **ა.მ.ა.გ.ი**.

ამაგების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით				
ქობულეთი	ხელვაჩაური	ქედა	შუახევი	ხულო
13	**15**	**6**	**4**	**8**

ა.მ.ა.გ.ები მოიცვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა დასახლებას (გარდა ქალაქებისა ქობულეთი და ბათუმი).

- ა.მ.ა.გ.ე.ბ.თან თანამშრომლობის ფორმატში შეიქმნა მათი მონაცემთა ბაზები. პარალელურად შემუშავებული იქნა **,,საჭიროებების დოკუმენტი“**, რომელიც რეალურად ასახავს სოფლის დონეზე არსებულ პრობლემურ საკითხების მოცემულობას და საჭიროებებს;

- ,,საჭიროებების დოკუმენტის“ საფუძველზე შეიქმნა სამინისტროს 2018 წლის პროგრამები. დაიგეგმა და გათვალისწინებული იქნა რიგი საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობს აგრარული დარგის კონკრეტული მიმართულების განვითარებას. ასევე მოხდა საჭიროებათა დოკუმენტის გაზიარება სხვა სახელმწიფო და თვითმმართველობის სტრუქტურებთან რათა მათაც მოეხდინათ შესაბამისი რეაგირება.

- ორგანიზებული იქნა დონორი ორგანიზაციის CENN-ის, CARITAS და ENPARD-ის წარმომადგენლების შეხვედრა ადგილობრივ ამაგებთან, შეხვედრაზე განხილული იქნა სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობები და პერსპექტივები;

- კოორდინაცია გაეწია ამაგების წევრთა სასწავლო ტრენინგებს. საანგარიშო პერიოდში მათთვის ჩატარდა 20 სასწავლო ტრენინგი, რომელიც ეძღვნებოდა

კერძოდ ამაგების სტრატეგიის განსაზღვრის, სამოქმედო გეგმების განხორციელების, გრანტებზე და ფინანსებზე ხელმისაწვდომობას, დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და სხვა აქტუალურ საკითხებს;

- დეპარტამენტის შემადგენლობა აქტიურად იყო ჩართული აზიური ფაროსანას წინააღმდეგ წამლობით ღონისძიებაში. სპეციალისტების უშუალო მონაწილეობით შეიწამლა დაახლოებით 90 ჰა-მდე თხილის კულტურით გაშენებული ფართობები;

- აჭარის რეგიონში ყოველწლიურად მიმდინარეობს **„ციტრუსის მოსავლიანობის პროგნოზირების“** პროგრამა, რომელიც ხორციელდება საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დაფინანსებით და მიზნად ისახავს გრძელვადიან პერიოდში მანდარინის მოსავლიანობის შესაძლებლობის განსაზღვრას.

- ***პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის*** მიერ მოპოვებული და დამუშავებული იქნა ინფორმაცია მუნიციპალიტეტების მიხედვით ,,ძველი კოლმეურნეობების სარგებლობაში“ არსებული მიწის ფართობების შესახებ. კერძოდ:
    - ხულოს მუნიციპალიტეტი - 17 735 ჰა;
    - ქედის მუნიციპალიტეტი - 198,43 ჰა;
    - ქობულეთის მუნიციპალიტეტი - 11 621 ჰა
    - სულ 29 554,43 ჰა.

- განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების პასპორტიზაცია, კერძოდ ნაკვეთის დახასიათება, ზუსტი ადგილმდებარეობა, საკადასტრო კოდი, ფართობი, დანიშნულება, მესაკუთრე, სულ 35-მდე კონტური;

- მომზადებული იქნა პრაქტიკული ბიზნეს გეგმები და საინვესტიციო-საპრეზენტაციო პროექტები მემცენარეობაში, კერძოდ მოცვის, თხილისა და მარწყვის კულტურის მიმართულებით. ხოლო მეცხოველეობაში - მეხორცული ფერმის განვითარების მიმართულებით;

- სამინისტროში განახლდა და დაიბეჭდა 360 ერთეული ეგზემპლარი ,,ციტრუსის ბუკლეტი 2017“.

- დეპარტამენტი აქტიურად იყო ჩართული ციტრუსის მეორე საერთაშორისო ფორუმის საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფაში. აღნიშნული მიმართულებით მომზადდა საჭირო საინფორმაციო მასალები და პრეზენტაციები;

- სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანაორგანიზებით მ/წლის 29-30 სექტემბერს განხორციელდა სასურსათო პროდუქციის და ტექნოლოგიების მე-7 საერთაშორისო გამოფენა „Agro Batumi 2017, რომელშიც მონაწილეობდა 50-მდე აგრო სექტორში დასაქმებული კომპანიები. 29 სექტემბერს ოფიციალურ გახსნაზე მოწვეულ სტუმრებთან ერთად აგროგამოფენა მოინახულა ციტრუსის ფორუმის მონაწილე უცხო ქვეყნის დელეგაციებმა, სადაც მოხდა ინფორმაციების გაცვლა და საქმიანი კონტაქტების დამყარება. ღონისძიების დასასრულს მონაწილე კომპანიებს გადაეცათ სერთიფიკატებით;

- დეპარტამენტში შემუშავებული და განხორციელებული იქნა სამინისტროს მიერ 2015-2016წწ განხორცილებული ქვეპროგრამების შერჩევითი მონიტორინგი. მინისტრის 11/12/2017წ №165 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა მონიტორინგის განმახორციელებელმა ჯგუფმა რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტში შეისწავლა სამინისტროს ქვეპროგრამებით მოსარგებლე 581 ბენეფიციარის მიერ განხორციელებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები. სწორედ ისინი გახდა საფუძველი შეფასებულიყო თუ რამდენად შესაბამისობაშია ქვეპროგრამით განსაზღვრული ინდიკატორები განხორციელებულ საქმიანობებთან და მიღწეულია თუ არა ქვეპროგრამებით დასახული მიზანი;

- სასურსათო უსაფრთხოების ფარგლებში დეპარტამენტში მოპოვებული და დამუშავებული იქნა ინფორმაცია რეგიონის მსხვილ წისქვილკომბინატებში არსებული ხორბლისა და ფქვილის ნაშთების შესახებ, რომელიც მიეწოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს;

- დეპარტამენტში შემუშავებული იქნა ,,სამინისტროს საჭიროებათა დოკუმენტი“, რომელიც ინსტიტუციური გაძლიერების ფარგლებში მიეწოდება საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს, შესაბამისი ღონისძიებების(ტრენინგები, სასწავლო კურსები, მატერიალურ ტექნიკური ბაზა და სხვა) დაფინანსების მიზნით. შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში №2;

- ***აგრარული პროექტების დანერგვისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის*** სამსახურის სპეციალისტების მიერ მუნიციპალიტეტების მიხედვით ხორციელდებოდა ბაზარზე არსებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების კვლევა, რომლის შედეგები მიეწოდა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს;

- სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ განხორციელების მიმართულებით, სამსახურის სპეციალისტებმა ტექნიკური დახმარება გაუწია 1200-ზე მეტ ბენეფიციარს;

- სამსახურის სპეციალისტებш აქტიურად მონაწილეობდნენ აგროპროექტების მართვის ცენტრის პროგრამა მაღალპროდუქტიული ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურის, კარტოფილი „სილვანა“-ს გაცემის ორგანიზებაში. საანგარიშო პერიოდში გაცემულია 80 ტონამდე სათესლე მასალა 270 ფერმეზე და 2 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივზე;

- სამსახურის სპეციალისტები აქტიურად მონაწილეობდნენ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის წამლობით ღონისძიებებში;

- სამსახურის წარმომადგენლები პერიოდულად მონაწილეობდნენ ციტრუსის პროგნოზის განსაზღვრის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში;

- სამსახურმა მონაწილეობა მიიღო არასტანდარტული მანდარინის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამის განმახორციელებელ სამუშაო ჯგუფში;

- ***იურუდიული დეპარტამენტის მიერ*** მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველზე - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რეგიონში დარეგულირდა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების მიერ კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ შეძენილი ან/და ბალანსზე რიცხული ქართული წარმოების პროდუქტისა და ქართული ტრადიციული სიმბოლოების შემცველი ნივთების საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და რეალიზაციის წესი“.

8. კვალიფიკაციის ამაღლება, მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონის ღონისძიებებში

- სამინისტროს თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ ,,სოფლის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში ENPARD 2-ის“ ფარგლებში სამინისტროს ინსტიტუციონალური გაძლიერების ფორმატში განხორციელებულ ტრენინგ/კურსებში. ინფორმაცია სამინისტროს თანამშრომელთა მონაწილეობის თაობაზე მოცემულია დანართში №3;

- აგრარული განვითარების დეპარტამენტის აგრარული ექსტენციის განყოფილების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს თურქეთის რესპუბლიკის ქ.სტამბულში გამართულ მეფუტკრეთა საერთაშორისო კონგრესში;

- აგრარული განვითარების დეპარტამენტის აგრარული ექსტენციის განყოფილების წარმომადგენლება მონაწილეობა მიიღეს ჟურნალ National Geograpic -ის მიერ ქ.თბილისში გამართულ ღონისძიებაში, რომელიც ეძღვნებოდა მეფუტკრეობის დარგის განვითარებას;

- სოფლის განვითარების დეპარტამენტის აგრობიზნესის განყოფილების უფროსმა მონაწილეობა მიიღო ,,კონიის საერთაშორისო სოფლის მეურნეობის, აგრომექანიზაციისა და ტექნოლოგიების გამოფენაში", რომელიც გაიმართა თურქეთის რესპუბლიკის ქ.კონიაში;

- სოფლის განვითარების დეპარტამენტის უფროსმა მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაციის ორგანიზებითა და ENPARD ის დაფინანსებით გამართულ ფორუმზე, რომელიც ეძღვნებოდა რეგიონის კოოპერაციულ განვითარებას;

- აგრარული განვითარების დეპარტამენტის აგრარული ექსტენციის განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის მიერ ორგანიზებულ სემინარში - ,,DCFTA საქართველო თავისუფალი ვაჭრობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის";

- საქართველოსა და აჭარის ა.რ. სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან თანამშრომლობის ფარგლებში სოფლის განვითარების დეპარტამენტმა რეგიონის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში: ,,ევროპასთან ღრმა და ყოვლისმომცვლელი თავისუფალი ვაჭრობის DCFTA განხორციელების ჭრილში კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის რეჟიმის გაძლიერება";

- სოფლის განვითარების დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო USAID/REAP პროექტის სტრატეგიული პლატფორმა - ,,გენდერულად თანასწორუფლებიანი სოფლის მეურნეობის განვითარება" - ფორუმში, სადაც დეპარტემენტის უფროსი წარსდგა შესაბამისი პრეზენტაციით (სოფლის განვითარება აჭარის რეგიონში);

- პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსმა მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ყაზბეგის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ საინფორმაციო ტურში, რომელიც ეხებოდა LAG-ების განვითარების სამომავლო პერსპექტივებს;

- პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის საინვესტიციო და დონორებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა მონაწილეობა მიიღო ყაზახეთში, ქ. ასტანაში გამართულ საერთაშორისო გამოფენაში ASTANA EXPO 2017;

- პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსმა და საინვესტიციო და დონორებთან ურთიერთობის მთავარმა სპეციალისტმა მონაწილეობა მიიღო ლიტვაში, ქ. რიგაში გამართულ საერთაშორისო გამოფენაში RIGA FOOD 2017;

- პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის საინვესტიციო და დონორებთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტმა მონაწილეობა მიიღო ბელორუსში ქ.მინსკში გამართულ საერთაშორისო გამოფენაში БЕЛАГРО 2017;

- საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსმა მონაწილეობა მიიღო ქ,თბილისში ctc-Empowering People for Change-ის მიერ ორგანიზებულ სასწავლო კურსში ,,პროექტის ციკლის მართვა".

ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრი

ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრი დაფუძნებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის 2016 წლის 28 დეკემბრის №165 ბრძანების საფუძველზე

ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრის ძირითადი მიზანია: სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს ფორმირების მიზნით პროექტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების შემუშავება და განხორციელება.

ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრის სტრუქტურა



2017 წელს ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრმა პროგრამა: ,,სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით“ ფარგლებში განახორციელა შემდეგი ქვეპროგრამები:

1. **ქვეპროგრამა: ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების რეალიზაციის ხელშეწყობა, ბიუჯეტი - 1 986 039 ლარი;**

   ქვეპროგრამის მიზანი: სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების კონსოლიდაციის ხელშეწყობის გზით სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება;

   ქვეპროგრამის შედეგი: თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დახარისხებული და შეფუთული პროდუქციის წარმოების, შენახვისა და

რეალიზაციის ალტერნატიული სისტემის ჩამოყალიბების მიზნით შექმნილი მომსახურების ცენტრების ამოქმედება, რომელიც ხელს შეუწყობს ნამეტი პროდუქციის უწყვეტ რეალიზაციას.

- ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის მუნიციპალიტეტებში გათვალისწინებული იყო ფერმერთა და აგრომეწარმეთა მომსახურების ცენტრების მშენებლობა და მათი აღჭურვა შესაბამისი ინვენტარ მოწყობილობებით.

- ცენტრების მშენებლობისათვის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე შერჩეული იქნა შესაბამისი ტერიტორიები. კერძოდ:
  - ❖ ქობულეთის მუნიციპალიტეტი - სოფელ ხუცუბანი;
  - ❖ ქ.ბათუმის ტერიტორიული ერთეული (ლოჯისტიკური ცენტრი);
  - ❖ ქედის მუნიციპალიტეტი - სოფელი ძენწმანი;
  - ❖ შუახევის მუნიციპალიტეტი - დაბა შუახევი;
  - ❖ ხულოს მუნიციპალიტეტი - ტერიტორიის შერჩევის პროცედურები განახლდება 2018 წელს;
- საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვები, რომელთა საფუძველზე შეძენილი იქნა შემდეგი დანადგარ/მოწყობილობები:

- 2 ერთეული კარტოფილის დამუშავების ხაზი;
- 3 ერთეული ბოსტნეულის დამუშავების ხაზი;
- 6 ერთეული სატვირთო ავტომანქანა;
- 1 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება (რეფრეჟერატორი-მაცივარი);
- 20 ერთეული მოტობლოკი (სათიბელათი);
- 697 ერთეული ბაღის მობილური შემასხურებელი;
- 5 ერთეული ჰიდრავლიკური შტაბელერი;
- 1 ერთეული პნევმატური ურიკა;
- 2 ერთეული ელექტრო ტვირთამწე,
- 2 ერთეული ექსტრუდერი;
- 6 ერთეული ელექტრო სასწორი;
- 2 ერთეული სოფლის მეურნეობის პროდუქტების საშრობი კარადა;
- პროდუქციის ეტიკეტირებისათვის საჭირო თვითწებადი ქაღალდი;
- პროდუქციის შესაფუთი მასალის - ბადე ტომრები;
- პალეტების შესაკრავი (პოლიესტერის ლენტი)
- 25 კგ-იანი და 12 კგ-იანი პლასტმასის ყუთები;

2. ქვეპროგრამა: სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა ბიუჯეტი -2 454 867 ლარი;

ქვეპროგრამის მიზანი: მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების გამოყენებით სასათბურე სექტორის განვითარება და რეგიონის დაბლობი ზონისათვის ახალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ფუნქციის მინიჭება, მოსახლეობის

შემოსავლების ზრდა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

ქვეპროგრამის შედეგი: რეგიონში მებოსტნეობის სექტორის განვითრების ფარგლებში ადგილობრივი ბოსტნეული კულტურების წარმოებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდა, ფერმერთა მატერიალური შემოსავლების გაუმჯობესება;

- საანგარიშო პერიოდში ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარაში განხორციელდა სასათბურე მეურნეობის მოწყობის მშენებლობისათვის საჭირო ღონისძიებები;
- ამორტიზირებული ჩაის პლანტაციებისაგან გაიწმინდა 2,5 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელიც განკუთვნილია 50 ერთეული 500 კვ,მ-იანი სასათბურე მეურნეობის მოსაწყობად;
- მოჭრილი და დასაწყობებული იქნა მიწის ზედა გრუნტი;
- გაიჭრა გრუნტოვანი წყლების გამდინარე არხი, რომელზეც მოგვიანებით დამონტაჟდება შესაბამისი გამტარი მილი;
- დაიდგა წყლის ჭაბურღილი;
- ჩამოისხა წერტილოვანი ფუნდამენტი, რომელიც წარმოადგენს სასათბურე კონსტრუქციის საძირკველს;
- საანგარიშო პერიოდში დაწყებული იქნა 500 კვ.მ-იანი ფართობის სასათბურე კონსტრუქციების დამონტაჟებასთან დაკავშირებული სამუშაოები;

3. **ქვეპროგრამა: მაღალეფექტური ერთწლიანი სასოფლო–სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა; ბიუჯეტი - 467 644 ლარი;**

ქვეპროგრამის მიზანი: მაღალპროდუქტიული კარტოფილისა და ნიორის სარგავი მასალის, სასუქებისა და ჰერბიციდების აგრომეწარმეებზე და ფერმერებზე მიწოდების გზით რეგიონში წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდა.

ქვეპროგრამის შედეგი: რეგიონის მაღამთიანეთის მცირე კონტურიანი სავარგულების ეფექტური ათვისების ხელშეწყობა, ადგილობრივი წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდის ფონზე ფერმერთა შემოსავლების ზრდა,

- ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდული იქნა 9600 კილოგრამი მინერალური სასუქი „N“, 8 700 კილოგრამი კომბინირებული მინერალური სასუქი „NPK“, 197.5 ტონა ორგანული სასუქი (ბიოსასუქი), 256 ლიტრი ჰერბიციდი და 101.5 ტ ,,სილვანას“ ჯიშის კარტოფილის სათესლე მასალა, რომელიც თანაგადახდის პრინციპით მიეწოდა რეგიონის მაღამლთიანეთის მოსახლეობას.

4. ქვეპროგრამა: მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო–სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა; ბიუჯეტი - 1 624 117 ლარი.

ქვეპროგრამის მიზანი: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კაკლის კულტურის ბაღების გაშენება, ამ მიმართულებით ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა და კაკლის კულტურის წარმოების განვითარება;

ქვეპროგრამის შედეგი: ფერმერულ მეურნეობებში თანამედროვე ინტენსიური ტექნოლოგიებით გაშენებული კაკლის ბაღების ფართობების ზრდა, ფერმერთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება;

- ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებსა და მეწარმეებს თანადაფინანსებით გადაეცათ 25 344 ცალი ,,ჩანდლერის“ ჯიშის კაკლის ნერგები.

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი

ა(ა) იპ ,,აგროსერვისცენტრი“ შეიქმნა 2011 წლის ივლისში აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, რომლის მიზანს წარმოადგენს რეგიონის აგროსექტორის ცალკეული დარგების შემდგომი განვითარების ხელშეწყობა და შესაბამისი მეთოლოგიურ – მატერიალური ბაზის შექმნა.

ქვეყნის მასშტაბით ეს ერთადერთი საპილოტე, სამეცნიერო და თეორიულ – პრაქტიკული ხასიათის სასოფლო – სამეურნეო დაწესებულებაა, რომლის მაგალითზე აგროსექტორში მოღვაწე ფერმერები, ბიზნესმენები და სოფლად მაცხოვრებელი ფერმერები თვალნათლივ ხედავენ თანამედროვე სარგავ – სათესი მასალებისა და უახლესი ტექნოლოგიების უპირატესობებს მაღალხარისხიანი, ტრანსპორტაბელური და ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების საქმეში.

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის საქმიანობასა და მმართველობის სფეროში შედის ციტრუსოვანთა, ვაზის, ხილ-კენკროვანთა სადემონსტრაციო-საკოლექციო, სენერგე და სასათბურე მეურნეობები, ასევე რეგიონში მეცხოველეობის ხელოვნური განაყოფიერების სადგურები და ექსტენციური მომსახურეობის უზრუნველყოფა. კომპეტენციის ფარგლებში ცენტრი მონაწილეობას იღებს დარგობრივი პოლიტიკის განვითარებაში, ტექნოლოგიური სიახლეების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ხელს უწყობს აგროსასურსათო სექტორში პროდუქციის წარმოების ზრდას სუბტროპიკული და კონტინენტალური, ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთგანახლებას, მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სანაშენე ბაზისა და გენოფონდის შენარჩუნებასა და ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესებას.



- **ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სადემონსტრაციო და სანერგე მეურნეობების ფართობები** წარმოდგენილია 39.6 ჰა ფართობზე, მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტში - ჩაქვში ციტრუსოვანთა კულტურებით დაკავებულია 21 ჰა, ხოლო გვარა-ხუცუბანში ვაზისა და ხეხილკენკროვნებით 18,6 ჰა, ასევე ბალანსზე ირიცხება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არსებული ახალსოფლის 2,7 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული;

- **ჩაქვისა და გვარას სანერგეებში განთავსებულია შემდეგი სასათბურე მეურნეობები**, ჩაქვში 2000 კვ.მ -ზე 2 ერთეული 1000 კვ.მ-იანი ციტრუსოვანთა ნერგის სამყნობ-გამოსაზრდელი სათბური, გვარა ხუცუბანში 1500 კვ.მ-ზე 3 ერთეული 500 კვ.მ-იანი სათბური, მათ შორის ერთი ვაზის ნერგის მყნობა-გამოზრდისათვის, მეორე - მარწყვის სადემონსტრაციო, ხოლო მესამე - კენკროვანი ხილის ჟოლოს სადემონსტრაციო სათბური.

საანგარიში პერიოდში ა(ა) აგროსერვის ცენტრის მიერ განხორციელებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები:

- გვარა–ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვნების სანერგის ტერიტორიაზე შემოერთებული 5 ჰა ფართობი გაიწმინდა ბუჩქნარისაგან, ტერიტორია მოშანდაკდა, დაპლანტაჟდა, დამუშავდა ფრეზით და მოეწყო სადრენაჟო ქსელი, გაშენდა ვაზისა და ხეხილის სადემონსტრაციო-სამრეწველო ნაკვეთი;

- ახალ ათვისებულ ნაკვეთში 5 ჰა ფართობზე მოეწყო წვეთოვანი სარწყავი სისტემა, ხოლო 4 ჰა ფართობზე ვაზისა და ხეხილის შპალერული საყრდენი სისტემა. მუნიციპალიტეტებში მოეწყო ჟოლოს, უეკლო მაყვალისა და გოჯიბერის სადემონსტრაციო ნაკვეთები;

- **ნერგების წარმოება:** ჩაქვისა და გვარას სანერგე მეურნეობებში წარმოებული იქნა 20 000 ძირი ვაზის მწვანე ნერგი, ხოლო ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში - 7500 ძირი ხეხილის ნამყენი, 1000 ძირი ჟოლოს ნერგი; ციტრუსოვნების სანერგე მეურნეობაში წარმოებულია 70000 ძირი ციტრუსის სხვადასხვა ჯიშის ახალი ნამყენი და 17 000 ძირი ნერგი;

- ჩაქვის ციტრუსების სანერგეში წარმოებული იქნა და სარეალიზაციოდ მომზადდა 13000 ძირი მანდარინის სტანდარტული ნერგი. დასამყნობად კონტეინერებში მომზადდა 70 000 ძირი ტრიფოლიატის საძირე, ციტრუსის სხვადასხვა სახეობისა და ჯიშის კვირტით დაიმყნო 40 000 მდე საძირე;

- გვარა-ხუცუბნის ვაზის სანერგეში დაიმყნო 28 000 ცალი ვაზის საღვინე და სასუფრე ჯიშები, მათგან რეალიზებული იქნა 17 000 ძირი მწვანე ნერგი;

- სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიური სიახლეებისა და აგრარული დარგის სხვადასხვა მიმართულებით ინფორმირებული და კონსულტირებული იქნა 6000-ზე მეტი ფერმერი;

ა(ა) აგროსერვის ცენტრის მიერ განხორციელებული სხვადასხვა საქმიანობები:

1. **სანერგე მეურნეობებში ჩატარებული სამეცნიერო კვლევები:**

- აგროსერვის ცენტრის სანერგე მეურნეობებში ციტრუსისა და სუბტროპიკული ხეხილის ახალი ჯიშების შერჩევის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის“ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სამეცნიერო კვლევით ცენტრსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე აგროსერვის ცენტრის სანერგე მეურნეობებში ინტენსიურად ხორციელდებოდა სამეცნიერო კვლევები. კვლევების ფარგლებში ხდებოდა მცენარის ვეგეტაციის პერიოდში აქტიური დაკვირვება მიმდინარე ფენოლოგიურ ფაზებზე. შესწავლილი იქნა გარემო პირობებისადმი ადაპტაციის უნარი, მავნებელ-დაავადებებისადმი გამძლეობა, ნაყოფის ბიოქიმიური ანალიზი და სხვა მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებები.
- კვლევებში მონაწილეობას ღებულობდნენ ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები, სადაც საველე პირობებში ეცნობოდნენ ფენოლოგიური დაკვირვებების მიმდინარეობას. თითოეულ ჯიშზე ხდებოდა დაკვირვება: - კვირტების გაღვიძებისა და პირველი ვეგეტაციის დაწყებაზე.
- კვლევები ემსახურება რეგიონში ინტროდუცირებული ციტრუსის და ხეხილოვანი კულტურების ჯიშთგამოცდას, ანუ პროცესს, თუ რამდენად ეგუება მცენარე ჩვენი რეგიონისათვის დამახასიათებელ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს, როგორ მსხმოიარობს, როგორ განიცდის ადაპტაციის პერიოდს და ასე შემდეგ. მხოლოდ მსგავსი ტიპის კვლევების საფუძველზე შეიძლება გაცემული იქნას რეკომენდაციები ინტროდუცურებული ჯიშების ადგილობრივ დარაიონების შესაძლებლობებზე;

2. განხორციელებული ტრენინგები და აგროტურები:

- ***ხულოს მუნიციპალიტეტი:***
- 2017 წლის 14 ნოემბერი, ტრენინგი თემაზე „ბიო მეურნეობა და მისი დადებითი მხარეები“ ტრენერი ზურაბ კარბელაშვილი;
- „კარტოფილის მოვლა და დაავადებები,“ ტრენერი ნუგზარ ოქროპირიძე;
- ,,ბიო მეურნეობა და მისი დადებითი მხარეები“, ტრენერი ნუგზარ ოქროპირიძე, ლაშა მელაძე;
- „მცირე მექანიზაციის ექსპლუატაცია“, ტრენერი რომან მარგალიტაძე;
- „ნიორის მოვლა-მოყვანა,“ ტრენერი ლევან ბოლქვაძე;
- ,,ხეხილის გასხვლა/ფორმირება“- ტრენერი რომან ჩხაიძე;
- ***შუახევის მუნიციპალიტეტი:***
- 2017 წლის 22 ნოემბერი, ტრენინგი თემაზე „მოცვის მოვლა მოყვანა“, ტრენერი გიორგი კონცელიძე;
- „ნიორის მოვლა მოყვანა“ ტრენერი ლევან ბოლქვაძე;
- ,,ბიო მეურნეობა და მისი დადებითი მხარეები“, ტრენერი ნუგზარ ოქროპირიძე, ლაშა მელაძე;
- ,,მცირე მექანიზაციის ექსპლუატაცია“ - ტრენერი რომან მარგალიტაძე;
- ,,ღია გრუნტში წიწაკის მოყვანა და მისი დაავადებები“ - ტრენერი ლევან ბოლქვაძე;
- ***ქედის მუნიციპალიტეტი:***
- 2017 წლის 15 ნოემბერი, ტრენინგი თემაზე „ბიო მეურნეობა და მისი დადებითი მხარეები“ ტრენერი ზურაბ კარბელაშვილი;

- 2017 წლის 16 ნოემბერი, ტრენინგი თემაზე „ღვინის დაავადებები“ ტრენერი დავით ზირაქაშვილი;
- 2017 წლის 06 დეკემბერს 12 საათზე ქედის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ღვინის მოვლა“. ტრენერი დავით თამარაშვილი;
- „ვაზის დაავადებები“, ტრენერი ლევან ბოლქვაძე;
- „ხეხილის დაავადებები,“ ტრენერი ნუგზარ ოქროპირიძე;
- „ხეხილის დაავადებები,“ ტრენერი ალექსანდრე გეგუჩაძე;
- ,,წყლისა და საკვების მნიშვნელობა საკალმახე მეურნეობაში“ - ტრენერი ასოციაცია ,,ფორეჯის“ დამფუძნებელი სოფო დიასამიძე;

- ,,ღია გრუნტში პომიდვრის მოყვანა“ - ტრენერი ნუგზარ ოქროპირიძე;
- ,,წიწილების გამოზრდა და მისი დაავადებები“ - ტრენერი მალვინა კილაძე;
- ,,მცირე მექანიზაციის ექსპლუატაცია“ - ტრენერი რომან მარგალიტაძე;

- ***ქობულეთის მუნიციპალიტეტი:***
- 2017 წლის 09 ნოემბერი აგროსერვის ცენტრის ღვინის სახლში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ღვინის დაყენება“ ტრენერი დავით თამარაშვილი;
- 2017 წლის 11 ნოემბერს აგროსერვის ცენტრის გვარას ოფისში აგროსერვის ცენტრის აგრონომებისთვის და სტაჟირებაზე მყოფი სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე „მცენარეთა დაცვა“, ტრენერი ნიკა მესხი ;
- „დახურულ გრუნტში კენკროვანი კულტურების მოვლა მოყვანა“, ტრენერი ზურაბ კარბელაშვილი;
- ***ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი:***
- 2017 წლის 22 ნოემბერი, ტრენინგი თემაზე „მოცვის მოვლა მოყვანა“, ტრენერი გიორგი კონცელიძე;
- „ხეხილის დაავადებები,“ ტრენერები ნუგზარ ოქროპირიძე, ალექსანდრე გეგუჩაძე;
- ,,ხეხილის გასხვლა/ფორმირება“ -ტრენერი ნიგზარ ოქროპირიძე;
- ,,სასათბურე პირობებში ჟოლოს მოვლა-მოყვანა“ - ტრენერი მამუკა თურმანიძე;
- ***გვარას სანერგე მეურნეობა:***
- ,,ბიო მეურნეობა და მისი დადებითი მხარეები“ - ტრენერები ასოციაცია ,,ელკანას“ წარმომადგენლები;
- ,,წიწილების გამოზრდა და მისი დაავადებები“ - ტრენერი ,,მომავლის ფერმერის“ წარმომადგენელი დავით ბოსტაშვილი:
- ,,ღია გრუნტში კენკროვნების მოვლა-მოყვანა“ ტრენერი - ზვიად ბობოქაშვილი;
- ,,ვაზის გასხვლა-ფორმირება“ - ტრენერი თეიმურაზ გორგილაძე;
- ***ჩაქვის ციტრუსების სანერგე მეურნეობა:***
- თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა ,,ციტრუსის გასხვლა/ფორმირება“ - ტრენერი ოთარ ქობალია, ოლეგ გვარიშვილი, ნუგზარ ოქროპირიძე;
- ამავე პროგრამის ფარგლებში 6 ვეტერინარმა სპეციალისტმა სომხეთის რესპუბლიკაში გაიარა სასწავლო პრაქტიკა;
- ვაზისა და ხეხილის სენერგე მეურნეობაში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ჩატარდა აგრო-ტური;
- საანგარიშო პერიოდში „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში ჩაქვში არსებულმა

კოოპერატივმა ,,მეგობრობამ'' სადემონსტრაციო ფერმაში მეცხოველე ფერმერებს ჩაუტარა აგრო ტური პრაქტიკული მეცადინეობის სახით;

- ავსტრიის განვითარების ფონდსა (ADA) და სომხეთის ფონდთან (CARD) ერთად ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი ახორციელებს პროექტს „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა საქართველოში“, პროექტის ფარგლებში 15 აგვისტოს ვეტერინარებს ჩაუტარდათ თეორიული და პრაქტიკული სწავლება თემაზე: ,,ცხოველთა ინფექციური დაავადებები“;
- ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა“ ქვეპროგრამის ფარგლებში ადგილობრივ ფერმერებს ჩაუტარდათ 4 აგროტური;
- 7 ივლისიდან 5 სექტემბრის ჩათვლით ა(ა)იპ ასოციაცია შავი ზღვის ეკო აკადემიამ 16116 ფერმერს ჩაუტარა საველე ტრენინგი თემაზე: მცენარეთა დაცვა;
- აგროსერვის ცენტრის სპეციალისტების მიერ ჩატარდა მუნიციპალიტეტებში სასწავლო ტრენინგები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის მიმართულებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 304 ფერმერმა;

3. ხელოვნური განაყოფიერება, კერძო და საჯარო ვეტერინარიის განვითარების ხელშეწყობა:

- საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ექსტენციის სამსახურის ხელოვნური განაყოფიერების სადგურის სპეციალისტები მოსახლეობის შეტყობინებების საფუძველზე გავიდნენ 2051 გამოძახებაზე, ხელოვნური განაყოფიერება ჩაუტარდა 1734 ფურს, მათ შორის: ქ. ბათუმი და ხელვაჩაურის
  მუნიციპალიტეტი - **485**;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტი - **534**;
- ქედის/შუახევის მუნიციპალიტეტები - **250**,
- ხულოს მუნიციპალიტეტი: - **465**

- სატელეფონო და ოფისში მომართვის საფუძველზე კონსულტაცია გაეწია 4386 ფერმერს.

- ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრსა და სომხეთის ფონდს (CARD) შორის თანამშრომლობის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში ქობულეთის მუნიციპალიტეტში გაიხსნა ვეტერინარული კლინიკა სადაც მოეწყო ფერმერებისათვის საკონფერენციო

დარბაზი, ლაბორატორია, საოპერაციო ოთახი, ვეტ. აფთიაქი. საანგარიშო პერიოდში კლინიკაში 167 ფერმერს გაეწია კონსულტაცია;

- ანალოგიური ვეტერინარული კლინიკის სამშენებლო ღონისძიებები მიმდინარეობს ხულოს მუნიციპალიტეტში, რომელიც დასრულდება 2018 წლის პირველ ნახევარში;

4. კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა:

- 28-29 სექტემბერს ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ,,ელკანას" ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგ შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქედის მუნიციპალიტეტში მოქმედი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. შეხვედრაზე განხილული იქნა კოოპერირების წარმატებით ფუნქციონირებისათვის საჭირო სტრატეგიული დაგეგმვა, მარკეტინგული მიდგომები და დამატებითი ღირებულების ჯაჭვის შექმნა;

- ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია ,,ელკანას" მიერ ორგანიზებული იქნა საინფორმაციო ტრენინგ შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების და საინიციატივო ჯგუფების ცნობიერების ამაღლებას კოოპერირებისა და მართვის პრინციპულ საკითხებში. აღნიშნულ ტრენინგს დაესწრო ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კოოპერატივის წევრები;

5. ,,აგროსერვის ცენტრის" მატერიალურ ტექნიკური ბაზის მიზნობრივი გამოყენება:

- საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის გვარას სანერგე მეურნეობაში მდებარე ანგარის აგრო მარკეტში, ფართობით 800 კვ.მ, მოეწყო 24 ინდივიდუალური საგამოფენო სივრცე, სადაც ხორციელდებოდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საშუალებათა მწარმოებლების მიერ პროდუქციის რეალიზაცია;

- ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის გვარას სანერგე მეურნეობაში მდებარე ანგარის აგრო მარკეტში 31 სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლის მიერ რეალიზებული იქნა 22 900 ლარის პროდუქცია;

- საანგარიშო პერიოდში დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე გაიხსნა მრავალწლიანი ნერგების სარეალიზაციო მაღაზია, სადაც აგრარული დარგით დაინტერესებულ პირებს მიეცათ საშუალება შეეძინათ სხვადასხვა ჯიშის ციტრუსოვნების, ხეხილისა და ვაზის ნერგები. საწყის ეტაპზე ობიექტზე რეალიზირებული იქნა 4 572,5 ლარის პროდუქცია;

6. საინფორმაციო ბაზები:

- ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ბაზაზე გაეროს განვითარების პროგრამის ENPARD ფარგლებში აყვანილი სპეციალისტი ყოველკვირეულად ახორციელებდა ბაზარზე არსებულ ფასების კვლევას. ბაზრის კვლევის ინფორმაცია მოსახლეობაზე მიწოდების მიზნით პერიოდულად იგზავნებოდა სოფლის მეურნეობის სამინისტროში და აჭარის ტელევიზიაში გადაცემა ,,მე ვარ ფერმერში“;

- სასურსათო პროდუქციის ფასების კვლევა ხორციელდებოდა ხილზე, ბოსტნეულზე, ხორცისა და რძის პროდუქტებზე;

- ფასების ცვალებადობის დინამიკის შესასწავლად, ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასებზე შეყვანილი იქნა შესაბამის ბაზაში, რომლის საფუძველზეც წარმოდგენილი იქნა ანალიზი;

- ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ბაზაზე შეიქმნა ფერმერთა SMS ბაზა (10 400 ფერმერი), რომლის ფარგლებშიც ინფორმაციის სახით ადგილობრივ ფერმერებს მიეწოდებოდათ შეტყობინებები აგრო მიმართულებებზე;

- ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის მიერ ექსტენციის სოფტში დამუშავებული იქნა 629 ფერმერის მონაცემი (ხელოვნური განაყოფიერება, ნიადაგის ანალიზი და სხვა).

7. მედია ექსტენცია:

- საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრმა დაბეჭდა გაზეთ ,,გუთნეულის“ 12 ნომერი 12000-ანი ტირაჟით;

- საინფორმაციო მედია საშუალებებით მომზადებული იქნა 52 სატელევიზიო სიუჟეტი;

- ,,აგრო მარკეტის“ შესახებ მომზადებული იქნა 1 საინფორმაციო ვიდეო რგოლი;

- SMS ნიუსის სახით ფერმერებს 44-ჯერ გაეგზავნათ შეტყობინება სხვადასხვა სახის აგროღონისძიებებზე;

- ინტერფაქტნიუსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გავრცელებული იქნა 38 საინფორმაციო მასალა

8. აგროსასურსათო პროდუქციის ფესტივალები:

- ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ორგანიზებით საანგარიშო პერიოდში მოეწყო ღვინისა და ყველის ფესტივალი, რომელზეც წარმოდგენილი იყო ფერმერულ და კოოპერატიულ მეურნეობებში დამზადებული პროდუქციის გამოფენა გაყიდვა. სერთიფიცრებული დეგუსტატორების მიერ გამოვლინდა საუკეთესო ღვინოები და ყველი. გამარჯვებულები აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ქ. ბათუმის მერმა და ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის დირექტორმა, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვეს.

- ცენტრის ორგანიზებით მოეწყო ციტრუსის პირველი ფესტივალი, რომელზეც გამოვლინდნენ ღვაწლმოსილი მეციტრუსე აგრონომები, საუკეთესო ციტრუსის ბაღის მფლობელები და ახალგაზრდა მეციტრუსე ფერმერები ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში, რომლებიც აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ქ. ქობულეთის მერმა და ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის დირექტორმა სიგელებით დააჯილდოვეს. ღონისძიებაზე წარმოადგენილი იყო ციტრუსისაგან აწყობილი სხვადასხვა სკულპტურები.

სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი

სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირს, რომელიც დაარსდა 2006 წლის 6 ივნისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის №50 დადგენილების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიოლაბორატორიის ბაზაზე.

სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის სტრუქტურა



საანგარიშო პერიოდში ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის მიერ განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

- საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა დამკვეთი ორგანიზაციებიდან მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტის, სასმელი წყლის, ჩამდინარე წყლის, მდინარის წყლის, აუზის წყლის, სუსტალკოჰოლური სასმელების, ზღვის წყლის, სადეზინფექციო საშუალებების, ჩამონაბან-ჩამონარეცხის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, მასალისა და ობიექტის მავნებელ-დაავადებებზე შემოწმების მიზნით სსიპ ,,ლაბორატორიულ კვლევითი ცენტრში“ სულ შემოსული იქნა **16 991** ნიმუში.

- სსიპ-ლაბორატორიულ კვლევით ცენტრსა და სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის გაფორმებული იქნა **239** ხელშეკრულება ლაბორატორიული მომსახურების გაწევის შესახებ.
- ბაქტერიოლოგიური კვლევების შედეგად 44 ნიმუშში აღმოჩენილი იქნა სალმონელა, ხოლო 13 ნიმუშში ლისტერია.

- საგამოცდო ლაბორატორიამ ქიმიური მიმართულებით მონაწილეობა მიიღო UKAS-ს (United Kingdom Accreditation Service) მიერ აკრედიტირებულ საერთაშორისო ორგანიზაცია FAPAS-ის მიერ გამოცხადებულ რაუნდებში. კერძოდ,
- თევზის კონსერვში ჰისტამინის განსაზღვრა;
- რძის ფხვნილში დარიშხანის - As, კადმიუმის - Cd და ვერცხლისწყლის - Hg-ის განსაზღვრა;
- თხილში აფლატოქსინების B_1, B_2, G_1, G_2-ის განსაზღვრა და აფლატოქსინების (ჯამური) განსაზღვრა.
- ლაბორატორიული კვლევის შედეგები შეფასებული იქნა დადებითად, რის საფუძველზეც ცენტრს გადაეცა კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

- სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“-ს საგამოცდო ლაბორატორიამ ბაქტერიოლოგიური მიმართულებით სსტ ისო/იეკ 17025-2010-ის მოთხოვნების შესაბამისად მონაწილეობა მიიღო EUROFINS-ს პროექტით განსაზღვრულ პროფესიულ ტესტირებაში - სურსათის მიკრობიოლოგიური კვლევა პათოგენურ და არაპათოგენურ მიკროორგანიზმებზე. სატესტო მასალად გამოყენებული იქნა ბურღული.

- EUROFINS-ს პროექტით განსაზღვრულ პროფესიულ ტესტირებაში გავლილ მაჩვენებლებზე მიღებული იქნა დამაკმაყოფილებელი შედეგები;

აკრედიტაცია 2017:

- 2017 წლის 09 ოქტომბერს სსიპ - ლაბორატორიულ კვლევით ცენტრს აკრედიტაციის მიზნით ეწვივნენ სსიპ,,აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის" წარმომადგენლები;

- სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის საგამოცდო ლაბორატორიაში ჩატარებული იქნა პერსონალის შესაფასებელი სამუშაოები საქართველოს ეროვნული სტანდარტის - სსტ ისო/იეკ 17025:2010 - ,,საერთო მოთხოვნები საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიების კომპეტენტურობისადმი" შესაბამისად. აკრედიტაცია მოიცავდა შემდეგ სფეროებს: სასმელი, ზედაპირული, ჩამდინარე, აუზის წყალი; უალკოჰოლო, სუსტალკოჰოლიანი და ალკოჰოლიანი სასმელები; რძე და რძის პროდუქტები, კონსერვები; ჩაი, ყავა, დაფნის ფოთოლი,

სანელებლები, მარილი; ხორცი და მისი ნაწარმი, კონსერვები.ფრინველის კვერცხი; ზეთოვანი კულტურების თესლები, ნედლეული და ცხიმოვანი პროდუქტები; თევზი, სარეწის არათევზეული ობიექტები და მათი გადამუშავების პროდუქტები; ხილი, ბოსტნეული, კონსერვები; მარცვალი და მარცვალგადამუშავების პროდუქტები (ფქვილი, ბურღული, საფუარი, სახამებელი); პური, ფუნთუშეული, ერბოზელილი და ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი; შაქარი, შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმი, თაფლი; საზოგადოებრივი კვების პროდუქცია, მზა კულინარული ნაწარმი; ნიადაგი; გარემოს (ჰაერის) მეტეოროლოგიური, ფიზიკო-ქიმიურ-სანიტარიული გაზომვები; სამკურნალო-პროფილაქტიკური, საზოგადოებრივი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების, კვების პროდუქტების მწარმობელი და მარეალიზირებელი დაწესებულებები; ცხოველის, ფრინველისა და თევზის საკვებად გამოყენებული პროდუქცია; მინერალური სასუქები; საკარანტინო და არასაკარანტინო მასალები: მცენარეები, მცენარეული წარმოშობის პროდუქცია, ტარა;

- საგამოცდო ლაბორატორიის პერსონალის მიერ ჩატარებული სამუშაოები აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლების მიერ შეფასებული იქნა დადებითად, რის შედეგადაც სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის საგამოცდო ლაბორატორიას გადაეცა ახალი აკრედიტაციის მოწმობა - GAC-TL-0168.